



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

„დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს)“ საგანმანათლებლო პროგრამა

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
20 ივლისი, 2026

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211360203
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია, შპს „ჯეოჰოსპიტალის“ საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის დირექტორი, საქართველოს გრ. მუხამდის ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Medical Doctor Educational Program (e-PBL)
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მედიცინის ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მედიცინა 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	375
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N154; 04.07.2019
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	
---	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

■ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2026 წლის 04 მაისის №01-1004 (რეგისტრაციის №537291, 06.05.2026) წერილით წარმოდგენილი „დიპლომირებული მედიკოსის (ეპდს)“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია 7 წლის ვადით 2019 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების N154; 04.07.2019. აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი 04.07.2026 წელი.

დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს 6 წლიან ერთსაფეხურიან პროგრამას და მოიცავს 375 კრედიტს. პროგრამა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან.

■ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურად დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით.

■ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში:

სტანდარტი 1 – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია - შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია.

- რეკომენდაციები

- რჩევები

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 143 პირი, მათ შორის 73 აკადემიური და 70 აფილირებული აკადემიური პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 28 პროფესორი, 38 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 5 ასისტენტი, ხოლო აფილირებული აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში — 26 პროფესორი, 37 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 5 აფილირებული ასისტენტი.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში

გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

საანგარიშო პერიოდში პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული და სამეცნიერო განვითარების მიზნით განხორციელდა 6 შიდა ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა (150-მდე მონაწილით) და 25-ზე მეტი საერთაშორისო პროფესიული განვითარების აქტივობა, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციები, ვორქშოფები, მასტერკლასები და სასერტიფიკატო კურსები. წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიურ საერთაშორისო ჩართულობასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დაწესებულება ეთანხმება დასკვნის პროექტს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა (არ შეფასებულა)	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია (არ შეფასებულა)	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები (არ შეფასებულა)	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე](#)
[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზანია „მომზადოს საერთაშორისო დონის სამედიცინო კადრი; სამედიცინო პრაქტიკისთვის მოთხოვნილი აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნითა და გაცნობიერებით, უნარებითა და ღირებულებებით, ხოლო პროგრამის ამოცანებია – სასწავლო კურსების შინაარსის/მოცულობის, ასევე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს: საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში თანამედროვე ცოდნის მიღწევას; სწავლების შესაბამისი

საფეხურისთვის აუცილებელი კლინიკური უნარების დაუფლებას; პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების აღზრდას; მომავალი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში უწყვეტი სწავლისა და განვითარებისათვის მზაყოფნას“.

აღწერილი მიზანი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის ფორმულირებული, ასახავს დიპლომირებული მედიკოსისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების ფლობის უზრუნველყოფას, შესაბამისი საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული და პიროვნული განვითარების მუდმივ მხარდაჭერას, ასევე სფეროსთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს)

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.1 პროგრამის მიზნები</u>	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია მკაფიოდ და თანმიმდევრულად, ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით, ბლუმის ტაქსონომიის შესაბამის დონეებზე დაყრდნობით, სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებსა და შესაბამისი სწავლის სფეროს სპეციფიკას. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს დარგობრივ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ღირებულებებს, რაც განსაზღვრულია კურსდამთავრებულისათვის პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეცვლილა, იგი ასახავს როგორც დარგობრივ, ისე ზოგად კომპეტენციებს და სრულ შესაბამისობაშია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებთან.

პროგრამის თანახმად კურსდამთავრებულს:

- აქვს ცოდნა და გაცნობიერება სამედიცინო პრაქტიკისთვის, ჯანმრთელობისა და მისი ხელშეწყობისთვის, დაავადებების, ტრავმებისა და უნარშეზღუდულობის, ასევე მათი პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მართვის შესახებ მეცნიერებებში. დემონსტრირებს აღნიშნული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას ინდივიდის, ასევე ოჯახსა და საზოგადოებაში მათი ადგილის კონტექსტში.
- დემონსტრირებს დარგისთვის მნიშვნელოვან საბაზისო და კლინიკური უნარებს: კრებს ინფორმაციას პაციენტებისგან სისტემურად, თანაგრძნობითა და ეფექტურად; ატარებს პაციენტთა ფიზიკალურ გამოკვლევას, არჩევს შესაბამის დიაგნოსტიკურ პროცედურებს, ინტერპრეტირებს აღნიშნულ გამოკვლევათა შედეგებს; არჩევს მართვის და მკურნალობის გეგმას რაციონალურად, პაციენტის ინდივიდუალური შემთხვევის შესაბამისად. ამოიცნობს და მართავს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობებს.
- ავლენს სამედიცინო პრაქტიკისა და პაციენტის მოვლის მაღალი სტანდარტების მიღწევისთვის აუცილებელი თვისებებს; ეთიკური და საკანონმდებლო (ლეგალური) პრინციპების, პერსონალური კეთილსინდისიერების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პაციენტთა მოვლის პრინციპების ჩათვლით; აცნობიერებს ჯანმრთელობასა, ავადობასა და დაავადებაზე გენეტიკური, ისტორიული, სოციალური, გარემო, პოლიტიკური და ქცევითი ფაქტორების გავლენას.
- აცნობიერებს ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალთა სამუშაოს და ამჟღავნებს (დემონსტრირებს) ინტერპროფესიული მუშაობისა და პროფესიონალთა სხვა ჯგუფებისგან სწავლის სურვილსა და შესაძლებლობას.
- დემონსტრირებს (აქვს) მედიცინის ნებისმიერ სპეციალობაში ან სამედიცინო მეცნიერებებში შემდგომი ტრენინგის პოტენციალი. დემონსტრირებს ცხოვრების მანძილზე სწავლის, განვითარებისა და კვლევის საჭიროების ღირებულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს შესაბამისი მონაცემების განსაზღვრას, მათ სისტემურ შეგროვებასა და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს შედეგების მიღწევის ხარისხის შეფასებას. უნივერსიტეტი აღნიშნულ მონიტორინგს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს და მიღებულ მონაცემებს იყენებს სწავლა-სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

- ტსუ ყველა გამომცდელისთვის გეგმავს შეფასების ტრენინგ კურსს. პასუხისმგებელი გამომცდელები ვალდებული არიან დაესწრონ დტსუ-ს სამედიცინო განათლების ცენტრის (სგც) მიერ შტატის განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ კურსს.
- წერთი, OSCE ან Mini-OSCE გამოცდებისთვის საკითხვების შემდგენლებს სავალდებულოდ ესაჭიროებათ კითხვის წერის ვორქშოფზე დასწრება.
- OSCE-ში ჩართული გამომცდელებისთვის სავალდებულოა შტატის განვითარების პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ კურსზე დასწრება და გამოცდამდე განსაზღვრულ მოსამზადებელ სესიაში მონაწილეობა.

უკუკავშირი და სტუდენტთა პროგრესი

- სტუდენტები თითოეულ შეფასებაზე იღებენ რეგულარულ, დეტალურ უკუკავშირს. ეს მოიცავს შესრულების ჩაშლილ ანალიზს თემების ან შეფასების ნაწილების მიხედვით, ასევე ინდივიდუალური კომპონენტების სქორებს (მაგალითად: მოდული, მოდულში შემავალი საგნობრივი ბლოკი, OSCE/Mini-OSCE სადგური/კომპეტენცია). უკუკავშირი ხელმისაწვდომია ზეპირად, წერილობით და ინდივიდუალურად.
- სტუდენტთა პროგრესს მონიტორინგს უწევენ დეკანი, კურსების ხელმძღვანელები, კლინიკური მასწავლებლები (კლინიკურ ბაზებზე), ტუტორები (პდს) და პრაქტიკული მეცადინეობების მასწავლებლები, რათა ჩამორჩენა დროულად გამოვლინდეს და დაიგეგმოს მხარდაჭერა, განმეორებითი სწავლება/სწავლება და/ან შესაბამისი ტრენინგი.

სტუდენტთა უკუკავშირი და პროგრამის შეფასება

- სტუდენტთა მიერ მოწოდებული უკუკავშირი კრიტიკულია განათლების ხარისხის დასადასტურებლად და გამოიყენება როგორც სრული კურსის, ისე ცალკეული სესიების/მოდულების შეფასებისთვის.
- მოქმედი უკუკავშირის მექანიზმები გაგრძელდება, პარალელურად მოხდება მათი მუდმივი გაუმჯობესების გზების კვლევა და რეალიზება საჭიროების მიხედვით.
- დტსუ-ის უმეტეს კომიტეტში (გარდა სტრატეგიული მართვისა და ფინანსების კომიტეტებისა) ჩართულნი არიან სტუდენტთა წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობა ნომინირებულია სტუდენტთა კავშირის (SYSSA) მიერ.

საბაზისო და კლინიკური მეცნიერებები — უკუკავშირის კრეფა

- საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებებში სტუდენტთა უკუკავშირი გროვდება ონლაინ კითხვარებით, რომლებიც ივსება თეორიული სესიების, პრაქტიკული კლასებისა და პდს სესიების დასრულებისთანავე.

უკუკავშირი კლინიკური პრაქტიკის შესახებ

- კლინიკური როტაციის პერიოდში (სავალდებულო და არჩევით კურსებზე) სტუდენტთა უკუკავშირი გროვდება ონლაინ კითხვარებით. ამჟამად მონაცემებს აგროვებს დტსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ატარებს ანალიზს და ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
- მომავალში მონაცემთა დამუშავება განხორციელდება დეკანის მოადგილის (სამედიცინო განათლების მიმართულებით) ხელმძღვანელობით, დეკანის ასისტენტის და შესაბამისი კურსის კოორდინატორის მონაწილეობით. კლინიკური ბაზების შეფასებისთვის გამოყენდება სპეციალური კითხვარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ეფუძნება ინტეგრაციის პრინციპს, პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი, 12 სემესტრი. თითოეული სემესტრი მოიცავს 20 კვირას; ერთი სასწავლო წლის მოცულობა შეადგენს პირველ კურსზე - 63 კრედიტს, მეორე კურსზე - 61 კრედიტს, მესამე კურსზე - 60 კრედიტს, მეოთხე კურსზე - 65 კრედიტს, მეხუთე კურსზე - 65 კრედიტს, მეექვსე კურსზე -

61 კრედიტს. 1 კრედიტი = 30 სთ (მოიცავს საკონტაქტო 16სთ. და დამოუკიდებელ 14 სთ).

პროგრამა მოიცავს:

- საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერების კურსს (I- VI სემ.), სასწავლო მოცულობა შეადგენს 184 კრედიტს (184 ECTS).
- კლინიკური მედიცინის კურსს (VII-X სემ.), სასწავლო მოცულობა შეადგენს 130 კრედიტს.
- ზოგადი სპეციალიზაციის კურსს (XI-XII სემ.) სასწავლო მოცულობა შეადგენს 61 კრედიტს.

პროგრამაში სტუდენტის კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება უზრუნველყოფილია როგორც კლინიკური უნარების ცალკეული სასწავლო კურსებით (ჯამში 12 კრედიტი), ისე ყველა კლინიკური დისციპლინის ფარგლებში, რაც მოიცავს სწავლას როგორც სიმულირებულ, ასევე რეალურ კლინიკურ გარემოში.

პროგრამა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას (10 კრედიტი), რაც ინტეგრირებულია როგორც სავალდებულო კვლევით და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კომპონენტებში, ისე დამატებითი კვლევითი შესაძლებლობების შეთავაზებით. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამეცნიერო უნარების გაღრმავების დამატებით გზებს, მათ შორის პროექტების წერის, კვლევითი პროექტის განხორციელებისა და თეზისის დაცვის შესაძლებლობას. პროგრამა უზრუნველყოფს არჩევითობის პრინციპს როგორც ელექტიური სასწავლო კურსების, ისე კლინიკური სასწავლო ბაზების არჩევის მიმართულებით, რაც სტუდენტებს აძლევს ინდივიდუალური პროფესიული ინტერესებისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსები და მოდულები სტრუქტურირებულია ისე, რომ მათი სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულის მხარდასაჭერად შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის სწავლის შედეგების კავშირს სასწავლო კურსებთან და სხვა კომპონენტებთან.

სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს სრულ და დეტალურ ინფორმაციას: კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებს, კრედიტების განაწილებას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდებს, შინაარსსა და შესაბამის ლიტერატურას, რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და მუდმივად განახლებადია. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლების მოდულები მოიცავს ორგანოთა სისტემების მიხედვით ინტეგრირებულ კურსებს, II–III კურსებზე სწავლება აგებულია ორგანოთა სისტემებზე დაფუძნებული, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ინტეგრირებული მოდულების ფორმატით. სწავლების მესამე წლიდან ხდება სტუდენტის მომზადება კლინიკური მედიცინის ეტაპისთვის, ინტერდისციპლინური სწავლებისა და PBL-კვირებზე დაფუძნებული სწავლების ფორმატით.

VII სემესტრიდან სწავლება მიმდინარეობს რეალურ კლინიკურ გარემოში და მოიცავს ძირითადი კლინიკური დისციპლინების ფართო სპექტრს, მათ შორის შინაგან მედიცინას, ქირურგიას, პედიატრიას, მეან-გინეკოლოგიას, ფსიქიატრიას, ნევროლოგიასა და სხვა მიმართულებებს. VI კურსი ეთმობა ზოგადი სპეციალიზაციის

კლინიკურ როტაციებს, სადაც სტუდენტები მონაწილეობენ ინტენსიურ პრაქტიკულ სწავლებაში და ავითარებენ დამოუკიდებელი კლინიკური საქმიანობისთვის აუცილებელ კომპეტენციებს.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს ელექტიურ სასწავლო კურსებს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა ინდივიდუალური პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.5</u> სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები,

რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სადაც დაზუსტებულია განსხვავება დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამასა და დიპლომირებული მედიკოსის (დმ ე-პდს) საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. კერძოდ, დაკონკრეტებულია, თუ როგორ იყენებს აღნიშნული პროგრამა ე.წ. „პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლება“ მიდგომას, რაც გულისხმობს მე-3 სემესტრიდან დაწყებული პაციენტების (ვირტუალური პაციენტი) შემთხვევების (ქეისების) განხილვას და ასეთი ვირტუალური პაციენტის ქეისების სასწავლო პროცესში მეტად ინტენსიურ გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

